საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქ-
ციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოს-
ტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 50 მან. ერთი

№ 26

სამშაბათი, სექტემბრის 20
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა ვეფხვ ძე, ვენერა წულაძე, რაჟდენ გვიტაძე, შალვა კარმელი და სე-
ვერიან ჭარაქაძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს მათი
გულითადი მეგობრის

გიო კამერელიძის

უდროოდ გარდაცვალებას.

კოოპერატივ „მეფრნე“-ს გამგეობა და თან მშრომელნი აუწყებენ ნაც-
ნობთ და ამხ ნაგებს, რომ ქალ. ონში გარდაიცვალა ჩვენი თანამშრომე-
ლი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

გიორგი (გოგია) კამერელიძე.

ახალი ძალებით

თანამედროვე ეპოქა და მსოფლიო ძალთა დაპირისპირება სოციალ პოლიტიკურ მიმართულებას გადაფასებას მოითხოვს. დღეს ხდება ყველა ცოცხალი პოლიტიკური პარტიის ძალათა დაფასება, ეზრთა ჭიდილი და ახალი ძალებით, ახალი გზების ძიება ევროპისა და რუსეთის პარტიათა თანამედროვე მდგომარეობა ამის ცოცხალი მაგალითია.

ჩვენშიაც ასეთივე მდგომარეობა არსებობს. ჩვენი პარტიაც ამ მხრივ ცვალებადობას განიცდის. ხდება ძალთა ჩამოყალიბება და გარკვეული პოზიციის დაჭერა თანამედროვე პოლიტიკურ ძალთა შორის.

ამიტომ გარეშე ვოველივე ყოყმანისა, გარეშე ყოველივე ორეფუობისა უნდა მოხდეს ძალთა დაფასება.

დღეს ერთი დემარკაციული ხაზი ყოფს ყოველ სოციალ პოლიტიკურ მიმართულებას პოზიციას [illegible] ასოფლიო პოლიტიკის მიმართ. ერთი მხრივ არის სოციალისტური მოძრაობის რიგში მდგომი პარტიები, მეორე მხრივ არსებობს მათი ანტიპოდი ძალის, კაპიტალისტური მეფრნეობის მოსაფრჩლე პარტიები.

დღეს დღეს ით სხვა გზა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ბარეული ბანაკის მიმართულებანი უნდა იარებდენ ახალ-ახალ ძალებს თავის გარეშეო და რევოლიუციონურ ელემენტებით უნდა შესდგებოდეს ასეთი მიმართულების რიგში.

ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები, რომელნიც ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ ვიბრძვით, რომელნიც აქტუალი სოციალიზმის პრინციპებით მივდივართ თანამედროვე მოძრაობის შეფასებასთან, რომლის საბოლოო მიზანი უნდა იყოს მშრომელთა და ერთა თავისუფლება.

ამიტომ ჩვენი პარტიული რიგიც ახალი ძალებით უნდა იქნეს შევსებული და შემდგარი.

პარტია ყურადღებას აქცევს ქალთა ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დღემდე უმნიშვნელო როლს ასრულებდა.

დღეს კი ჩვენ პარტიული ორგანიზაციებში უნდა შევიდეს ქართველი ქალები, რომელიც ეროვნულად და კლასობრივად გაიაზიცდის ჩაგვრას. და ამიტომ მან იმ პარტიას ჯერ შემატოს თავისი ძალა, რომელიც ეროვნულ კლასობრივი თავისუფლებისათვის ბრძოლას [illegible]ბრძოლებს.

პარტიულმა ქალთა ორგანიზაციებმა უნდა უბელმძღვანელონ ამხანაგ ქალებს და უნდა მოიყვანონ მათი ყრილობა.

ქალთა მოძრაობა ევროპაში უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ერთ-ერთ მძლავრ ძალას წარმოადგენდა და ქართველი ქალებიც უნდა ჩაეყენენ საერთაშორისო ქალთა მოძრაობაში.

ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ახალი ძალა ჩვენი პარტიულ ცხოვრებაში და ამავე დროს ეს უნდა იყოს ახალი ერა ქართველ ქალთა მოძრაობაში.

ყველა პროვინციებში ადგილობრივ ამხანაგების ინიციატივით უნდა მოხდეს ქალთა ორგანიზაციების დაარსება, მათ ურთიერთობა უნდა იქონიონ მთავარ კომიტეტთან, უნდა წარმოგზავნონ თავისი დელეგატები ყრილობაზე და უნდა დამტკიცონ თავისი ენერგიული მუშაობით სამაჯური იმ დიდი მოძრაობის მიმართ, რომელსაც წინ მიუძღვის ლოზუნგი ყოველგვარ მონობათა დათრგუნვისა.

ვრესა

ეროვნულ პოლიტიკის წარმოება იძლევა არ ნიშნავს, რომ ეროვნული შეგნება გაიზარდოს, ეს ზოოლოგიურ ნაციონალიზმის [illegible] ნაციონალიზმი ერებში შევინიშნეს ასუსტებს და წმინდა კლასიურ პოლიტიკას ხელს უშუობს, „კომ.“ მოსწონს თავისი პოლიტიკა: „უსაზღვრო რუსეთის სივრცეზე სად შეხვდებით დღეს, სამეფოთა ძალა-უფლების ბატონობის დროს, ეროვნულ ბელა შემოხლა, პოგრომებს?“.

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ამის საპასუხოთ თუნდაც თურქეთანის ძოგინეა, მაგრამ მარტო პოგრომების მოსპობა კიდევ არ ნიშნავს ნაციონალურ შეგნების მოსპობას. უპოგრომოთაც და სისტემატიურადაც შეიძლება დენაციონალიზაციის მოხდენა, რაიცა საუკეთესო პირობაა ეროვნული შეგნების გამოწვევისათვის. მშვიდობიანი დენაციონალიზაცია უნდა მოიშალოს აუცილებლად, რაც ერებს მართლა შეაკავშირებს.

ოსეთის გარშემო „კომ.“ გამოლაშქრებას უეჭველად გაუკვირვების ხასიათი აქვს. მენშევიკების შესახებ ოსეთში ჩვენ არა ერთხელ გამოთქვით ჩვენი აზრი, ოსეთში ხანძრობლებმა უეჭველად გამოიყენეს მარტის თვეები, შინაგან საქმეთა კომისარიატში ამის შესახებ მრავალი მასალა მოიპოვება, ჩვენც არა ერთხელ ადგენენ ხავს ოსეთის სამუშაო ამბები ბოლო ბოლშევიზმის, როგორც ასეთის წინააღმდეგ ბრძოლებია არავის წამოუყენებია.

რა ეწოდება

ეროვნული საკითხის გარშემო საყურადღებო კამათი წარმოებს ჩვენსა და „კომუნისტის“ შორის. ეს ბუნებრივია და დღეს ასეთი კამათი რუსეთს პროსაშიაც არის. ჩვენი მიზანი უნდა იყოს საკითხის გამორკვევით ნათელყოფა შინაარსი ნაციონალ პოლიტიკისა და მისი პრაქტიკულად გატარება ცხოვრებაში, მხოლოდ ეს არის ჩვენი საქმე. ერთმანეთის გაგება, შემდეგ სიბრძნითილით მოპყრობა მოწინააღმდეგის აზრის განმარტების დროს ლიტერატურულ მოვალეობის ელემენტარი მოთხოვნილებაა. სამწუხაროდ, მოქ რ. კ—მ ეს სალიტერატურო მოვალეობა და ეთიკა ყირიმამდეა გადაატარა, არა თუ ამახინჯებს ჩვენს აზრს, ქმნის პირდაპირ სიცრუეს ციტატებს და ასე გვებრძვის. ეს ამის საბარალო ნიმუში, რაც ჩვენ არ მოგვესწრებინა არასდროს არც ერთ ტიტერატურის მუშაობაში. რ. კ. მოპყავს. შემდეგი ციტატა ვითომც ჩვენი, ციტატა ფრჩხილებშია ჩასმული. ვიღებთ ისე, როგორც ეს შეთხზა და თავზე მოგვაბვია რ. კ.—მ.

ეს „ციტატა“ მაინშევიკების ბატონობა არ ნიშნავს არც ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენას, არც რევოლიუციის დალატს“.

ეს ამ ვითომდა ჩვენს ციტატას რ. კ.—მ. გამოაბა თავისი ეზრი და გვამცნობს საზოგადოებას „ჩვენ კი მუდამ ამის წინააღმდეგს ვანტკიცებთ და მოდით და შეეთანხმდით ახლა ასეთ მოყვრებს, რომელთაც „ერთო მტერი“—მენშევიზმი—რევოლიუციის მოყვრად მიაჩნიათ“.

მკითხველი საზოგადოებისათვის ნათელია ის პასუხისმგებელი დასკვნები, რომელიც ავტორს გამოუყავს.

მაგრამ ციტატა, რომელიც ჩვენ მოგვაწერა რ. კ.—მ ეზისად მოიპოვება, ამის გამო წინადადება მივეცი რ. კ.—ს დაესახელებინა გაზეთის ნომერი სადიდანაც ამოიღო ციტატა.

„კომუნისტის“ კერის ნომერში უკვე პასუხია. დასახელებულია ჩვენი გაზეთის ნომერიც

ვთხოვთ მკითხველს კიდევ წაიკითხოს ის ციტატა ჩვენ რომ მოგვაწერა რ. კ—მ. ეხლა კი ეი ჩვენი [illegible] ეზეთის ადგილი. ნამდვილად ჩვენ ვწერდით სიტყვა-სიტყვით შემდეგს: „დამოუკიდებელ საქართველოს 3 წლის არსებობაზე [illegible] ქართველ ხალხს, რ. [illegible] ეროვნული [illegible] სახელმწიფოს [illegible] ბატონობა [illegible] ადგენას, არც რევოლიუციის დალატს“.

ამის შემდეგ ჩვენ ვეკითხებით ყოველ მკითხველს: რა საერთო რომ არის ჩვენს ციტატას და რ. კ—ს მიერ მოყვანილ ციტატას შორის? სად გაგონილა ასეთი გადამახინჯება ციტატის? ან ვინ მისცა უფლება რ. კ—ს ციტატად გაესაღებინა, ფრჩხილებში მოექცია ის, რაც არასად დაგვიწერია? რას ფიქრობდით მოქალაქე რ. კ. როცა ამას სჩადიოდით? ნუ თუ თქვენი ლიტერატურული სინიდისი არავითარ უსერხულობას აღარ იგრძნობს ამის შესახებ ამის შემდეგ მაინც?

მუშრომელი ხალხის გედი ქართულ პოეზიაში.

II

ბაკაი წერეთლის ენარიც შეეხო ბატონყმობის ვითარებასა. იმერელ გლეხს გაჭირვება ნაკლები არ ადგა, ვიდრე ილია ჭავჭავაძ ს გუთნიდედასა. ამიათვის ბატონი მისი გულის ხაზი იყო. თავდახრილი იყო იმის გამო, რომ ბატონი ბაჯდა კისერზე. დამტკბარს ვერასოდეს ჰხედავდა, მასთან მუდამ ბრაზმორეული იყო. უამისოდ გამრჯელი იყო, მასთან კი ნაზობდა. ალონებდა მოგონება ბატონისა რომელიც პირუტყვსავით იმონებდა, ჰფლობდა. გლეხს სწამდა რომ მისი საჭეთა წამწყმედი ვერ ცხოვდებოდა საიქიოს. ცხადად, თუ სიზმრად ბატონი აგონდებოდა, რომელიც მდკდლივით გასუქებულიყო, თვითონ კი ოფლად დნებოდა. ბატონი ამას არ დაეძებდა, ამბობდა, ვინ გაასწორა მთა და ბარიო. სწუხდა, რომ მოკლდ და ახალ დროს, ბატონყმობის გადავარდნასა. ერთობა გლეხს ბედნიერებად მიაჩნდა და უკვირდა, რომ ბატონი არ ეუბნებოდა ძმები ვართ, მოდი, მოგზვინ ხელიო. ეგონა, თუ ბატონი ჩიჩვირს ჩამოუშვებდა და ყმა ყურებს ჩამოჰყრიდა, მაშინ ვერ რავინ გაუმკლავდებოდა მტერს, რომელიც შეჰყურებდა. მაგრამ ასეთი ლაპარაკის მოსმენა სასიამოვნო არ იყო ბატონისათვის და ყმას ეუბნებოდა, ვინ სი ტიკი ტომარა ხარო.

ყმას სიტყვა გამართლდა. ბატონყმობა გადავარდა. ყმის ცოლსაც არა ნაკლები ჰქონდა შეგნება დაეჩივებული მდგომარეობისა, მისი პაწაწინა შვილი მამის ბედის ალარ იყო, სხვა ბედი მოელოდა, მისი ვარსკვლავი სხვა იყო დადგა ნატრობდა შვილის ვაჟკაცობას მოსწრებოდა, მის შვილს ავი არაფერი ჩაუდენია, რომ ამა არ გაეწყვა შავი არ ჩაეცვა. რა კი ბატონი ალარ ჰყვანდა, შიში და კრთომა ალარ მოელოდა, თავისუფლათ გაიზარდებოდა, ბატონი ვეღარ შეაწუხებდა, ვალი ვეღარ გასტეხდა, ხოლო მაშინ ეს ვალი დაუდგებოდა. სწავლის დრო როცა მოუვიდოდა, დიდი კაცის შვილი გვერდით მოუჯდებოდა. ძველ ბატონიშვილს სწავლაში ალარ ჩამოჰრჩებოდა, არ აფიქრებინებდა, გლეხს ნიჭი არა აქვ ო. როცა გაიზარდებოდა, დაჩაგრული ძმები უნდა დაეხსნა, ვინც მოხელეთაგან გაწვალებულ იყვნენ, რადგანაც საქმეზე როცა მივიდოდნენ, ეტყოდნენ, ხვალეო, ხოლო თუ მათ დასაქმებდენ, მაშინ უბრძანებდნენ მალეო, იმათ კი როგორც ნასწავლს ასე ვეღარ დაიბრიყვებენ. საჭირო იყო მოსპობა იმ მეოთხედისა, რის მიზეზითაც ნაბატონარ ნაყმევი დარჩენილიყვნენ ერთმანეთზე გადაბმული, ხოლო საბელი ეჭირა მომრიგებელ შუამავალსა, რომ როგორც ერთისთვის, ისე მეორესთვის მოეჭირა და მაგრად წელში მოეხარა. გლეხს თავისი ნაშრომ-ნაოჯალარი თვითონვე უნდა გამოეყენებინა, შკილი გამოეზარდა, რომ პირუტყვად არ დაჰრჩენოდა. სწავლა თანასწორობას ჩამოაგდებდა, ყველას ბედნათელს ჰყოფდა, ძმობა და ერთობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი.

III.

როგორც დავით გურამიშვილმა მოსთქვა [illegible] ქართლის გლეხის ჭირი. და ენა მჭევრობა ორთავ პოეტს თანაბარი და სხვებისაგან მიუბაძველი ჰქონდა. რაფ. ერისთავი სულის კვეთებას გვიხატავს იმ გლეხისას, რომელიც ვითომც გაანთავისუფლებული იყო, ვითომც გამხდარიყო მოქალაქე, საქმე კი ჰღალადებდა ზოგჯერ უფრო აუტანელ მის გაჭირვებას, რადგანაც დროებით ვალდებულებას ნაბატონარის მიმართ, გაეჩინა ახალი მოვალეობა როგორც იყო მაგალითად სოფლის სკოლის, კანცელარიის, დრამის, სათეატრო ხარკის, თუ სხვა რამ გადასახადის გასტუმრება, ცარცხლად და თაკარად გლეხისთვის, რომელიც იწოდა და იდაგებოდა. ნაბატონარი, ხაზინა, მღვდელი, ხელთუფლი და ჩარჩი სულთამხუთავებივით თავს ადგენენ და თავისა მოითხოვდენენ. იმას კი არავინ დასდევდა, შეიძლო გლეხს გადახდა, თუ არა. ერთად ერთი სახსარი, რითაც გლეხი მოახერხებდა ხოლმე სავალდებულო გადასახადის გასტუმრებას, მისივე ჭირნახული იყო. მაგრამ აქაც ქვა ალმართში მოეწეოდა და ბუნება გაანაცარმტვერებდა ნახნავ ნათესს და ცალიერზე დასვამდა. აქედან იწყებოდა მისი მრავალი გაჭირება.

გლეხი ბატონყმობის დროსაც არ იყო ბედნიერი. ალონებული, გულხელ დაკრეფილი მწარედ სტენოდა მის გამო რომ ბატონს გოგო წაერთმია, კერისთვის მოეშორებინა, რათგანაც განზრახვა ჰქონოდა მზითევში გაეყოლებინა თავის ქალისთვის, რომელსაც ათხოვებდა. ამას რომ არ დასჯერდებოდა ბატონი, ბიჭებისთვის ებრძანებინა, გოგოს მამისთვის კასერში წაკვრით ყუბები შემოეტვრიათ და ისე გაეგდოთ მხოლოდ იმისთვის, რომ გაებედნა და მწარედ დადრეჯოდა, ღერთი გადიდებს, ჩემი ერთად ერთი გოგო მაჩუქე, მოხუცებულს სხვა მის მეტი მომვლელი არავინ მყავსო.

მიწა იყო გლეხის დედამამა მისი და, მისი ძმობილი. ჰნანავდა, სთესავდა, მიწას ებრძოდა შრომა კი მაინც ფუჭი იყო: მიწის პატრონი იმას სწოწკნიდა, ერი და ბერი ყველა იმას შემოსცქეროდა. ვაჭრ'ბაგან ხომ გასაპირი ნაკლები არ ადგა. მის ვალში ეეღარ ამოდიოდა, რათგანაც უშილთიხებდა და ვალს მეორედ მოსთხოვდა. სულით ხორცამდის გასცლიდა, რათგან ც მამასახლისი ერთ თუნგ არაყში გასცვლიდა. არ შეარჩენდენენ ზიდაზეს, გოგს, ქათამს, წიწილსა, არც საბუდარში ყვერცხსა. ვაჭარი, მოვალე გლეხის სახლში, როგორც ქორი, ისე ჰნავარდობდა, არყისგან გამტყვრალი გზირიც რ ოგორც ღორი ისე ჰგორაობდა.

გლეხმა კარგად იცოდა, მიწა სხვისი იყო, ჰქარობდა და მიწის ღალა მაშინაც არ ასცილდებოდა როცა მზე წვიმა ჭალატობდა და ყანა მოუკდებოდა, მაგრამ როგორც მორწმუნე მინდობოდა უფლის ნებასა და ისევ განაგრძობდა ტანჯვით მუშაობასა. ის და დარჩენოდა რომ იტყოდა ხოლმე, შავი მიწა რომ სა'ყიდლად არ მქონოდა, შავ სამარემდინ ვეღ რაფერი დამალინებ ენდეო.

(შემდეგი იქნება)

პეტრე მირიანიშვილი.

ახალი ამბები

— **მოსავალი ზუგდიდის რაიონში.** მოსავლის პირი ზუგდიდის მაზრაში კარგია, თუ უკანასკნელმა წვიმებმა არ გააფუჭა. ლვინის მოსავალიც საუბალოზე მეტი იქნება, მაზრაში გასხნილია 25 სამკითხველო.

— **კულტურული მუშაობა ოზურგეთის რაიონში.** ოზურგეთის რაიონში [illegible]ლტურული მუშაობა გაესტოველებულია. [illegible] ბულია ზომები. მოსავალი საშუალოა. წვიმები დაიწყო.

— **მბეჭდავთა კონფერენცია.** 15 სექტემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიხსნა მბეჭდავთა კონფერენცია. დელეგატები ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან. კონფერენცია უკვე დასრულდა სამი დღის მუშაობის შემდეგ შაბათს, სექტემბრის 17-ს.

— **ქიმიკოსთა და მბეჭდავთა ცენტრალურ გამგეობის ხდომაზე** 16 სექტემბერს არჩეული იყო პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. გურული, თავმჯდომარეს ამხ. გი ამხ. შარიკიანი, პასუხ. მგებელი ძდივნ ამხ. სეროპიანი და [illegible] ბერიძე და არჩაძე. კავშირის განყოფილებათა გამგეებად არჩეულ იქნენ ორგანიზაც. ინსტრუქტორ ულ განყოფილების გამგედ ამხ. სეროპიანი, ეკონომიურ განყოფილების შარიკიანი, კულტ.-განმანათლებელისა არჩაძე, ტარიფ. ნორმების განყოფილებისა კობერიძე, შრომ.ს დაცვის მამლუმოვი, მომარაგების კალანდაძე და ფინანსიურის ოსიპოვი

ქიმიურ განყოფ. კოლეგიის წევრებად არჩეულნ ჭანტურია, ავანოვი და ბგალოვი პროფ. საბჭოს პლენუმში გურული, სეროპიანი, შარიკიანი, არჩაძე, ტეპჩენკო და კობერიძე. პლენუმის სხდომა მოხდება ყოველ პირველ რიცხვს.

—

შეცდომის გასწორება.

„ტრიბუნის“ მე.25 № ში კალ. მიქელაძის წერილში შემდეგი კორექტიული შეცდომაა: სწერია: გახსოვდეთ ჩვენ მიერ ათასი წლის წინად გადმოსროლილი ლოზუნგი კლასობრივი ეროვნული თავისუფლება. უნდა იყოს: **პიროვნული და ეროვნული თავისუფლება.**

რუსეთი

ამერიკის წითელი ჯვრის გემი. ჰამბურგიდან პეტროგრადში მოვიდა პირველი გემი „ფინიკსი", რომელიც იკუთვნის ამერიკის წითელ ჯვარს. გემმა მოიტანა სურსათი რუსეთის დამშეულ მავნებელებისათვის. მოტანილია 10 054 ფუთი შესქელებული რძე. 10,000 ფუთი ფქვილი 4,058 ფუთი შაქარი, 4,188 ფუთი ლობიო, 1626 ფუთი სიმინდი, 2,900 ფუთი ქ ნი, 2,190 ფუთი ბრინჯი და 1000 ფუთი კაკაო.

რუსეთის დამშეულთა ცენტრ. კომიტეტის დადგენილება. კომისიამ დაადგინა, რომ გაიგზავნოს საზღვარგარეთ დელეგაცია, რომელშიაც შევა წარმომადგენელი ხსენებული კომისიისა, პროფკავშირთა და კოოპერატივთა. კომისიის მიზანი იქნება სურსათ-სანოვაგის შეძენა რუსეთის დამშეულთათვის.

ამერიკელი მუშები რუსეთში. პეტროგრადში მოვიდენ ამერიკელი მუშები, რომლებმაც მოიტანეს საქსოვი მანქანები, სპეციალური დანები და სხვა. მათი ხელმძღვანელობით ახლო მომავალში დაარსდება ქარხანა ქუდების დასამზადებლად.

შემოტანის მოლოდინი. კერძო ცნობებით ამ წელში რუსეთში შემოვა 30 მილ. ფუთი საქონელი. ამას გარდა შესაძლებელია 20 მილ. ფუთი.

წიგნის მაღაზიების გახსნა პეტროგრადში. პეტროგრადში ახლანდელ 5 მაღაზია წიგნების. მაღაზიების კონტროლი ევალება მთავრობის—მიერ დანიშნულ ორგანოს.

უცხოეთი

ინგლისი და ირლანდია. დაწყებული მოლაპარაკება ინგლისის მთავრობისა ირლანდიის პარლამენტთან მეტად გამწვანდა. შესაძლებელია იგი სულ შეწყდეს. ირლანდიელები სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ ინგლისისაგან, მაგრამ ინგლისი არ თანხმდება ამ მოთხოვნილებას. ბელფასტში (ირლანდიაში) დაიწყო შეტაკებანი და სისხლის ღვრა, რომელიც ჯარმა ვერ ჩაახერო. ჩრდილო ირლანდიაში დაიწყო [illegible] გუნდთა გაფიცვა. ირლანდიის აჯანყებულებმა, რომელნიც დაატუსაღეს, რიცხვით 450 კაცი, სიმშილით გაფიცვა გამოაცხადეს.

ამერიკის მუშების დახმარება. ამერიკის მუშებმა დაარსეს ცენტრალური კომისია რუსეთის დასახმარებლად. კომისიაში შევიდა კიო-იორკის პროფკავშირთა წარმომადგენელი. განსრახულია შეკრება მინიმუმი 20 მილ. დოლარისა.

გაფიცვა საფრანგეთში. საფრანგეთში მქონელ წარსოებათა მუშების გაფიცვა გრძელდება.

ერთა ლიგის საბჭო. აგვისტოს 29 ს ქენევაში უნდა შეკრებილიყო ერთა ლიგის საბჭო, შემოსილიზის საკითხის გადასაწყვეტად.

მდგომარეობა ინდოეთში. მოლაბარის პროვინციაში გაიგზავნა ჯარი. აჯანყებულები მთებში გარბიან. პუკატის ახლო, შეტაკების დროს მოკლულია 400 ინდოელი.

კოოპერატორთა კონგრესი ბაზელში. ბაზელში კოოპერატორთა კონგრესზე დიდი ხმის უმრავლესობით დაუშვეს რუსეთის კოოპერატივების წარმომადგენელნი,

გაფიცვები საფრანგეთში და ჩეხოსლოვაკიაში. ჩეხო-სლოვაკიაში საერთო გაფიცვა აუცილებელია. საფრანგეთშიც ელექტორონის სადგურთა მუშების გაფიცვა დაიწყო.

კრასინის და პოლოვცევის არჩევა. კრასინი და პოლოვცევი აირჩიეს ბაზელის კოოპერატიულ კონგრესზე საერთაშორისო კოოპერატივთა ცენტრალურ კომიტეტის წევრებად.

ბერლინი. 10 სექტ. კომუნისტური გაზეთის ცნობით ავსტრიიდან პოლონეთში გადმოგზავნილია დიდძალი რიცხვი სამხედრო ტრანსპორტის.

ლონდონი. 10 სექ. პროფკავშირთა საერთაშორისო საბჭოს ცნობით ამ 10 წლის განმავლობაში პროფესიონალური კავშირები სამჯერ გამრავლებულა.

პარიზი. 8 სექ. საერთაშორისო სასოფლო მეურნეობის ინსტიტუტმა, რომელიც არსებობს რომში, გამოარკვია მოსავლის რაოდენობა ბელგიაში, ჰოლანდიაში, ბოლგარიაში, ირლანდიაში, საბერძნეთში, ელზას-ლოტარინგიაში, ვინგრიაში, ესპანეთში და მიიღო დასკვნა, რომ მოსავალი მოსალოდნელია 2 მილ. ცენტერით მეტი გასულ წელთან შედარებით.

პარიზი. 9 სექ. გაზეთი „ტანი" გვაცნობებს ვაშინგტონის კონფერენციის წესრიგს, რომელშიაც შედის: 1. გადალახვა ყველა დაბრკოლებათა, რაც იწვევს საერთაშორისო ვიდიდს, როგორც წინასწარი ზომა საერთაშორისო განიარაღების. 2. განიარაღების პრინციპის გავრცელება, რამდენადაც ეს შესაძლებელია [illegible] ზებისა და ჰაერში ბრძოლის. 3. მიღება „ღია კარების" სისტემის.

ნაუენი. 18 სექ. გერმანეთის საგარეო ვაჭრობა საგრძნობლად გაფართოვდა ამ წელს და 1,909 მილ. მარკამდე ავიდა.

ბერლინი. 14 სექ. იტალიის მუშათა კომიტეტმა რუსეთისათვის ჯერ-ჯერობით შეაგროვა 326 ათასი ლირი.

ვენა. 13. სექ. 13 სექტემბრამდე საფრანგეთის მუშათა კონფედერაციამ შეაგროვა 200 ათასი ფრანკი. გაზეთმა „ჰუმანიტემ" კი 150 ათასი ფრანკი. შვეიცარიის კომუნისტური პარტიის მუშაობა დახმარებათა შესაგროვებლად წარმატებით მიმდინარეობს.

საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

ქალთა კრება. ხუთშაბათს, სექტემბრის 22, საღამოს 7 საათზედ „ტრიბუნის" რედაქციაში შესდგება სოც.-ფედერალისტ ქალთა კრება. განსახილველია მეტად საჭირო საკითხები და ვსთხოვთ ამხანაგებს არ დაიკლდენ.

მშრომელნო!

დადგა დრო მთელი ცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქმნისა, ამისათვის კი აუცილებელია შეიქმნას შრომის შეგნებული დიდი ლაშქარი თავისი ხელმძღვანელებით და იდეოლოგებით. მიზანშეწონილ და წესიერად დალაგებულ შეშმარიტ ცოდნით ჩვენ ამას მივაღწევთ, შევქმნით ახალ ხელმძღვანელთა ტიპს ახალი ცხოვრებისას: დინჯს, აუჩქარებელს, რომელიც თვით საქმიანობითი სიმტკიცით და გამორკვეულობით მთელი ცხოვრების მსვლელობას მისცემს გონიერ აუცილებლობის გაშუქებას. ამ მიზნის მატარებელი მთლიან სისტემის ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს საბალხო უნივერსიტეტის **მოსამზადებელი კურსები.**

ამხანაგებო! ვისაც შეგრჩათ უნარი წინსვლისა, გწამთ მშრომელთა კლასის მაღალი მიზნები, ჩაეწერეთ **მოსამზადებელ კურსებზე,** ეზიარეთ სინათლეს, ცოდნას, რომ წმინდა დროშის ქვეშ დირსეულად უხელმძღვანელოთ მთელ ცხოვრებას მშრომელთა სადიდებლად სასახელოთ!

კურსები გაიხსნება შვიდ ალაგას სხვა და სხვა უბანში.

კურსებზე მიღებულ იქმნებიან წერა-კითხვის მცოდნენი. ჩაწერა შეიძლება 21 ენკენისთვემდე თანხმართვით კულტ-ახეიკებში და სათანადო კავშირების კულტ-განყოფილებებში.

ხელფასი და მოსამსახურენი

ერთი უმთავრესი და საჭირბოროტო საკითხი დღეს ხელფასის საკითხია. უკვე სამი წელია რაც სიძვირის სიმძაფრე საათობით მატულობს და ხელფასის მომატება ნახევარი წლობითაც არ მისდევს თან თან სიძვირის მსვლელობას. დღეს მუშა-მოსამსახურეთა ბედი აუწერელია, ალარ არის ოჯახის საჭირო საგნებიც რომ მისი გაყიდვით შესაძლებელი იყოს პურის ფულის შოვნა. დღევანდელ ხელფასის უკუღმართობა არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ მუშა-მოსამსახურე იღებს 30--60 ათასს, არამედ იმაშიაც არის, რომ ზოგი პრემიალური სისტემის ძალით იღებს თვიურად 400000--500000-დე მაშინ, როდესაც მეორე, მაგ. კანტორის მოსამსახურე იღებს 30,000 60,000 მდე. ასეთი დიდი სხვაობა გავლენას ახდენს ბაზარზე. მაშინ, როდესაც პირველს ასე თუ ისე შეუძლია შედარებით ძვირ ფასებში სურსათის შეძენა, მეორეს სრულიად მოსპობილი აქვს ამის საშვალება. ჩვენ რასაკვირველია არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს დღევანდელ ბაზარზე 40—60 ათასი მანეთი, ეს ყოველმა ჩვენგანმა კარგად იცის.

ხელფასი კიდეც, რომ სამჯერ გადიდდეს და მეტჯერაც, ამით რასაკვირველია მუშა-მოსამსახურეთა საქმეს არაფერი ეშველება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს თუ ხვალ ამ ძარიგ მუშათა უზრუნველყოფის საქმეში აუცილებლად ნაბიჯი უნდა გადაიდგას. რამდენადაც ვიცით ამ ნიადაგზე, რუსეთში გაცხოველებული ნუშაობა სწარმოებს და ახალი ტარიფის პროექტებია შედგენილი. რასაკვირველია ჩვენ მას არ შევეებებით, რადგან ტარიფის გამომუშავების საფუძვლად უნდა ედოს არა ის თუ რა სასურველი და მისაღები, არამედ ის თუ როგორია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, რა საშვალებანი არსებობენ სინამდვილეში მდგომარეობის გაუმჯობესებისა. ამიტომ საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ჩვენი ქვეყნის ქონებრივი მდგომარეობა და ამის მიხედვით გამომუშავდეს მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფის ნორმები.

ჩვენთვის ერთი აშკარაა, დღეს ჩვენში გაცილებით უკეთესი პირობები შეიძლება შეგვქმნათ მუშებისათვის, ვიდრე ეხლა არსებობს. სურსათით დღეს სავსეა მთელი ქალაქი, მაშინ, როდესაც მუშა-მოსამსახურეთათვის სურსათის მიწოდება შეუძლებელია.

ამისათვის საჭიროა შემდეგი ზომების მიღება: 1) **შტატების შემოკლება მინიმუმამდე** 2) **სურსათის შეძენა ხახელმწიფოს მიერ.** 3) **ხელფასის რამოდენიმედ გათანასწორება.**

შტატების შემოკლება ერთი მხრით გაწმენდავს ჩვენ დაწე ებულებათ ზედმეტი ელემენტებისაგან და მეორე მხრივ საშვალებას მოგვცემს რომ სურსათის განაწილება მოხერხდეს.

შტატების შემოკლების დროს უნდა იქნეს სახელმძღვანელოდ მიღებული სახელმწიფო ენის უცოდინარობა და შრომის უნაყოფობა, ეს ზომა ორი მხრით, როგორც ეკონომიურით ისე, საერთოდ სახელმწიფოებრივი მოსაზრებით აუცილებლად უნდა იქნეს გატარებული.

მეორე საკითხი უნდა იქნეს სახელმწიფოს და მუშათა კოოპერატივების მიერ სურსათის შესყიდვა და დღეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. „ვაჭრობის თავისუფლებით" საშინელი და აუტანელი ატმოსფერა შექმნა სპეკულიატურმა ელემენტებმა. რაც უნდა დიდი ჯამაგირი დაუნიშნოთ მუშებს და იგი „უზრუნველყოფ" ფულის ნიშნებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეექმნით ისეთ პირობებს, რომ ბაზრის ფასის ზრდას მიყვებოდეს ხელფასის ზრდა. ამიმომ ერთად ერთი გამოსავალი სურსათის მომარაგებაა, სურსათით უზრუნველყოფა. თუ სახელმწიფომ ეს ვერ შესძლო, ვერავითარ შემთხვევაში, ვერც ერთი სხვა ზომებით, ვერ შესძლებს მუშების დაკმაყოფილებას.

მესამე ადგილი ხელფასის შედარებითი გათანასწორებას უნდა დაეთმოს. ყოველად დაუშვებელია, რომ ზოგი მუშა პრემიალური სისტემით ნახევარ მილიონამდე იღებდეს, ხოლო ზოგი კი ხოლოდ 40—60 ათასით არსებობდეს. ეს მიუღებელია, როგორც თანასწორობის პრინციპი [illegible] მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დიდი ხელფასის მქონე მუშათა ნაწილი ქმნის ბაზრის ფასების გადიდებას, ხოლო მცირე ხელფასის მუშას, ყოველივე აუშაულება ეკარგება სურსათის შეძენისათვის. დღესაც მთელი მოსამსახურენი, რომ 40, ან კიდევ ნაკლები ხელფასით სარგებლობდენ, გაცილებით შესაძლებელი იქნება ბაზარზედ დაკლებული ფასების არსებობა.

ამიტომ აუცილებლად უნდა მოხდეს ხელფასის ნატურით დაკმაყოფილება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხოლო როგორც ნატურის, ისე ფულის ნიშნების მხრივ მუშა მოსამსახურენი თანასწორად უნდა კმაყოფილდებოდეს.

დღეს სხვა გზა საუბედუროდ არ არსებობს. სწრაფად და დაჩქარებით უნდა მოხდეს როგორც შტატების შემოკლება, ისე სურსათის მომარაგება და ხელფასის გათანასწორება.

დაუყონებლივ ზომების მიღება, თორემ არსებობის საშვალება ალარ გვაქვს.

ხელი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! ნება მომეცით ორიოდე სიტყვით მაინც შევეხო იმ გაუგებრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მბრეკავთა როგორც პირველ ისე მეორე კრების გარშემო.

პირველ კრებაზე არა კომუნისტთა გამარჯვება მოულოდნელად მოხდა. იგი არ იყო შედეგი განსაკუთრებული პარტიათა შეთანხმების. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კრება შეწყვეტილ იქმნა 10 წუთით. კანდიდატთა სიის გამომუშავება ძლივს მოესწრო, მხოლოდ მუშების ერთ ნაწილში ისეთი ერთსულოვნობა იყო, რომ შეთანხმება თავისთავად ხდებოდა.

მეორე კრებაზე ხელახალი არჩევნების მაჩენ თითქოს განმეცხადებია, რომ ჩვენ მზადება ვერ [illegible], [illegible] მართალი. მე მემდეგი [illegible]: [illegible] ხიდავად იმისა, რომ პირველი კრება დაჩქარებით [illegible] საქმაოდ [illegible] იქმნა [illegible] და." [illegible] ამას [illegible], რომ რაკი ჩვენ კრებას არ დავესწრით არჩევნები ხელახლა უნდა მოხდესო, არ არის საქმაო, რომ კანონიერი კრება უკანონოთ იქმნას ცნობილი. ამასთან პირველი კრების შემდეგ შტატის შემცირების მიზეზით იქსპედიციიდან დათხოვნილ იქმნა 50 მოსამსახურე, რომელთაც წაერთვა უფლება კრებაზე დასწრებისა, თუმცა ისინი კავშირის წევრებათ ითვლებიან. ყოველივე ეს და ამასთან ის პირობებიც, რომელშიაც ხდება დღევანდელი კრება, იწვევს ჩვენში პროტესტს, გიცხადებთ მას და კრებასაც ვტოვებთ-თქო.

ეს იყო და ეს. ისე კი უნდა დავუმატო: მუშები არ იყვნენ კმაყოფილნი წინათ, არ არიან დღესაც. მბრეკავთა კავშირში ალბეშოვ ჩუმაჩენკოების ბატონობა მუშებს კმაყოფილს ვერ გახდის, ეგ უნდა ვიცოდეთ ყველამ.

ასოთამწყობი ხ. ვადაქკორია.

—

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს №-ში დაგვიბეჭდოთ შემდეგი წერილი.

ამ ბოლო ხანებში ორი პატარა წერილი დაიბეჭდა გაზ. „მუშის შრომაში" ტფ. პარიკმახერების შესახებ. გაზ. „ტრიბუნა"-ში (№ 20). დაბეჭდილია წერილი „მუშა პრეფექტი"-ს ხელმოწერით.

„მუშის შრომაში" მოთავსებულ წერილების ავტორები მოითხოვენ „აილაგმოს პარიკმახერების [illegible]" „მუშა პრეფექტი" მოითხოვს „რომ დადგენილებას სასტიკად დამორჩილდნენ ბატონი პარიკმახერები", რაშია საქმე? რომ ალაშფოთა ამხანაგები—წერილის ავტორები?

ტფილისში არ მომხდარა საპარიკმახეროების ე. წ. ნაციონალიზაცია. ტფილისში არის მხოლოდ ერთი საბჭოთა საპარიკმახერო და ისიც მოუწყობელი და მიიღო რა მხედველობაში საწ. კავშ. „კომუნ. მეურნის" პარიკმახერების სექციის გამგეობამ რომ თავისუფალ ფასებ[illegible] [illegible] ბა. [illegible] ზედ და მუშა-მოსამსახურეთ ისარგებლონ საპარიკმახეროსადალაქოებით, ამიტომ თავს იდო ინიციატივა გამომუშავებულიყო ნიხრი მუშა-მოსამსახურეთათვის საპარიკმახეროსადალაქოების სარგებლობის შესახებ...

14 ივლისიდან ნიხრი ტარდება ცხოვრებაში, ცხადია ნიხრის ცხოვრებაში გატარებას უნდა მოყოლოდა—სამწუხაროდ—გაუგებრობა-უსიამოვნება და თუ გნებავთ ბოროტებაც. აქვე უნდა ალვნიშნო, ბოროტებას „მანდატიანებიც" ჩადიან.

რომ თავიდან იქნას აშორებული გაუგებრობა-უსიამოვნება დაისაჯონ ბოროტმოქმედნი. ამ მიზნით პარიკმახერების სექციასთან არსებობს საკანტროლო კომისია.

ვსთხოვთ, საჭიროების დროს, მიმართონ ამ საკანტროლო კომისიას. აქვე ვცხადებთ: ტფ. პარიკმახერები არ დებულობენ— ჯერჯერობით — სურსათ-სანოვაგეს და არც სხვა რამეს სახელმწიფო ფონდიდან.

ეი მთავარი მიზეზი ნიხრის დარღვევისა!

ს. კ. კომუნმეურნის პარიკმახერების სექციის და საკანტროლო კომისიის [illegible] ალავერდი ალავერდიანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი

მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მარ. მაჩაიძე
(ყოფ. გიმნაზიის დამაარსებ. და გამგე)
ამზადებს ხაშუალო ხასწავლებლებს
ყველა კლასებში შესახვ
ვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი
საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიასა და
ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუ
სულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის
ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვა
ჩაწერა 7—8 ს. 3—6. 1284

ტირილი კუბოზე

(**შალიკო ტურაბელიძის ხსოვნას 18 IV—18 IX.**)

თეთრი სიცილი კიდევ მოცდება,
და იბურება თვალები ნისლით
და აფრენილი ჩვენი ოცნება
ეცემა კვნესით შელებილ სისხლით.

დავინესტები ცისფერ კუბოზე
და ასე ვეტყვი: „ძვირფასო კარგო,
შენ საქართველოს გული უბოძე
და სიყვარულმა მაინც დაგვაკარგო.

გაფითრებული ამოვა მთვარე
და როცა ყველგან ჩაქვრება შუქი
აქვითინდება თვალებ დამწვარს,
პატარა ნუკრით ობოლი შველი.

აჰ! ასე მშიერ სულის საკვებად —
გადმოიღვრება ცრემლები ბევრი —
და ისტორიას წითლათ გაყვება,
ძვირფასი სისხლი და კახაბერი.

ნიამორი.

ბათომი 26—IV—21 წ.